

იუბილე JUBILEE

მზექალა შანიძე – 95

ჰაინც ფენრიხი – 80

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და უფროსი „კადმოსის“ რედაქცია საიუბილეო თარიღს ულოცავს ცნობილ მეცნიერებს, ქალბატონ მზექალა შანიძეს და ბატონ ჰაინც ფენრიხს.


მზექალა შანიძე – 95¹

თანამედროვე ქართული მეცნიერების ეპოქალური სახე, პროფესორი მზექალა შანიძე 95 წლისაა. სამეცნიერო ღვაწლთან ერთად, ქალბატონი მზექალას გამორჩეულობა მის პიროვნულ და საზოგადოებრივ ავტორიტეტს უკავშირდება და მრავალი ფაქტორითაა განპირობებული; მოკლედ შევხები ზოგიერთ მთავანს:

- მზექალა შანიძე – სამეცნიერო

თაობებს შორის უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირის მყარი გარანტი

სწორედ მან მოიტანა ჩვენამდე, თანამედროვე რიგით სტუდენტამდე, საქართველოში ყველა დროის ყველაზე დიდი დასავლური იდეის, უნივერსიტეტის, აკადემიური თუ ღირებულებითი სიკეთე. უნივერსიტეტის დამაარსებელთა, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანისა და სხვათა მოწაფემ, თითო-ოროლა გამორჩეულ პროფესიონალთან ერთად, ჩვენში ფილოლოგიურ განათლებას და კვლევას შეუნარჩუნა პირველი თაობის მიერ დასავლური სტანდარტების კვალობაზე დანერგილი ყველაზე მნიშვნელოვანი ჰერმენევტიკული და ლინგვისტურ-ტექსტოლოგიური ასპექტები. მეტიც, მან არაერთი მიმართულებით გააფართოვა შუა საუკუნეების ქართული ტექსტების კვლევის ჩარჩო (ვინფრიდ ბოედერი). მზექალა შანიძემ ბერძნული,



1 მზექალა შანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო წერილები იბეჭდება მისი სამეცნიერო სტატიების კრებულში, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს ქალბატონი მზექალას 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ებრაული, სირიული, სომხური, ქრისტიანული არაბული და სხვა პირველწყაროების სიღრმისეული ცოდნით შეისწავლა და გამოსცა ძველი და საშუალო ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, იგი დღემდე რჩება ქართული ფილოლოგიის შეუცვლელ მასწავლებლად.

ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი მზექალა ძალიან საინტერესოდ აღწერს საქართველოში სამეცნიერო თაობების ურთულეს ისტორიას უნივერსიტეტის დამაარსებლებიდან დღემდე. იგი თანმიმდევრობით აღადგენს სურათს, როგორ იცვლებოდა სიტუაცია უნივერსიტეტში ისტორიული ქარტეხილების კვალდაკვალ და როგორ გართულდა პირველი თაობის მიერ დამკვიდრებული მაღალი საერთაშორისო სტანდარტის შენარჩუნება კვლევასა და მეცნიერებაში. ბოლოს, რა მძიმე გავლენა იქონია ყველაფერმა ამან უახლეს პერიოდზეც კი.

მზექალა შანიძე სწორედ ამ თითო-ოროლა გამონაკლისს ეკუთვნის; სხვადასხვა დროის ურთულესი სასწავლო-კვლევითი თუ ღირებულებითი კრიზისის მიუხედავად, მან დღემდე შეუნარჩუნა აკადემიურ სივრცეს ის სტანდარტი, რომელიც შექმნეს მისმა მასწავლებლებმა, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის თაობამ.

• *მზექალა შანიძის ტექსტუალური კრიტიციზმი – დეტალების ხელოვნება*

ადრეც დავწერე და უნდა გავიმეორო, რომ ქალბატონი მზექალას მთავარი მეთოდოლოგიური საყრდენი, ტექსტოლოგიური კრიტიციზმი, განაპირობებს მის სამეცნიერო სტილს – ტექსტში დეტალების გაჩენა-დაკარგვის, მათი მსგავსი თუ განსხვავებული „ქცევისა“ და „გადაჯგუფების“ მიხედვით არქეტიპული ფენისა და ვარიანტების დადგენას (Codex archetypes/exemplaria).

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მას „თეორეტიკოსობა“ დიდად არ იტაცებს; რა თქმა უნდა, ყველა მის ნაშრომში თეორიული ანალიზია საფუძველი, თუმცა კვლევა უმთავრესად პროვოცირებულია ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხით, სიტყვის ან ფრაზის ფილოლოგიური პრობლემით. ის ფრთხილად სვამს კითხვას, კონკრეტული ადგილი, ფრაგმენტი ან სიტყვა ხომ არ არის ამ თეორიული კონცეპტის ანარეკლი და მთელი კვლევა ტრიალებს ამ ერთი კონკრეტული ტექსტის, წინადადების, ფრაზის, სიტყვის, ან თუნდაც სუფიქსის გარშემო და არა თეორიული ნაწილის, განსაკუთრებით ამ თეორიის „გადმომღერების“ ირგვლივ, როგორც ეს არც თუ იშვიათად ხდება ჩვენში.

სამეცნიერო მუშაობის ეს მართლაც ძალიან დახვეწილი სტილი, დეტალების ხელოვნება, აერთიანებს ქალბატონ მზექალას მის შორეულ წინაპართან, შუა საუკუნეების ყველაზე დიდ ქართველ ფილოლოგთან, ეფრემ მცირესთან, რომლის ტექსტების კვლევას და პუბ-

ლიკაციას იგი დღემდე აგრძელებს. ეფრემ მცირის, ძველი ქართული გრამატიკული „ტიხნეს“ სისტემატიზატორის, ფილოლოგიური დეტალების გამორჩეული ოსტატის, თვითდახასიათება ყველაზე მეტად ესადაგება მზექალა შანიძის დახასიათებას: ერთ-ერთი თარგმანის შესავალში ეფრემი ასე აღწერს თავის ჰერმენევტიკას: „რადთა კინო-ოდენითა გემოდს-ხილვითა გიჩუენო გემოდ მდინარისა დიდისა და მცირისა მიერ ფესუსა განგიცხადო ყოველი ქსოვილებად სამოსლისად“.

ეს არის ძველთაძველი იერარქიულ-გვარობრივი წესი, ფილოლოგიაში ჯერ კიდევ ამონიოსის მიერ სისტემად დამკვიდრებული, რომლის მთავარი მექანიზმი არის მთლიანი სტრუქტურის მატარებელი უმცირესის გამოყოფა და არა უბრალოდ უმცირესის. ამ სისტემატიკის უნიკალური მაგალითია ჩვენი დღევანდელი იუბილარი, რომელიც მთელი თავისი მეცნიერებით გვასწავლის, როგორ უნდა განვსაზღვროთ დიდი იერარქიის მაკონსტრუირებელი მცირე დეტალი და პატარა ბრჭყალის მიხედვით როგორ ამოვიცნოთ დიდი ლომი.

ცნობილია, რომ ქალბატონ მზექალას ძალიან უყვარს დეტექტივების კითხვა. ხშირად უსაუბრია იმაზე, როგორ „ჩაითრევს“ ხოლმე თითქოს „უმნიშვნელო“, კარგად შენიღბული დეტალი და მისი საშუალებით როგორ გამოიცნობს, ამოხსნის დეტექტივის მთავარ საიდუმლოს. ქალბატონი მზექალას ეს ჰობი, სავარაუდოდ, მისი მაღალი პროფესიული ალღოსა და უნარის ანარეკლიცაა.

- *მზექალა შანიძის გაკვეთილები*

ახალი რომ კარგად დავიწყებული ძველია, ამის ერთ-ერთი დასტურია მზექალა შანიძის გამოცდები და განსაკუთრებით მისი პრაქტიკული გაკვეთილები ხელნაწერის ამოკითხვასა და გამოსაცემად მომზადებაში.

ითვლება, რომ სწავლების თანამედროვე დასავლური მეთოდები, როგორცაა აქტიური სწავლება (Active learning) კეთებით სწავლება (Learning by doing), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება Problem-Based Learning, PBL), და მრავალი სხვა მხოლოდ ახლა მკვდრდება ჩვენში. არადა, მზექალა შანიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო ამ მეთოდების აქტიურად გამოყენება. განსხვავება ისაა, რომ მაშინ ამას სწავლების თანამედროვე დასავლური მეთოდები კი არა, „მზექალა შანიძის ახირება ერქვა“ მხოლოდ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალბატონი მზექალას გამოცდა (ქართული სალიტერატურო ენის ისტორია) დედამიწის ზურგზე ურთულესი რომ იყო, ეს ყველა ფილოლოგმა იცოდა; მეტიც – საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი. ბევრი სტუდენტი მინახავს, გულწრფელად გაბრაზებული, ყველა სტატია ზეპირად მქონდა მომზადებული, მაგრამ ისეთი ახირებული კითხვა დამისვა, დავიბენიო. იმ გულწრფელ სტუდენტებს, ცხადია, გაგონილიც კი არ ჰქონდათ,

პროცედურული და დესკრიფციული ცოდნა, ან ოპერაციონალური გავარჯიშებისა და ახალი ცოდნის საფეხური სხვადასხვა რომ იყო, თორემ დაბნევა რა სახსენებელია! არც დეკანატში – და კიდევ უფრო ზევითაც! – იცოდა იმ დროისთვის ვინმემ ცოდნის ამ წყვილის შესახებ. უნდა გავიმეორო: მაშინ ამას სხვა სახელი ერქვა – მზექალა შანიძის ახირება და მხოლოდ მოგვიანებით „აღმოჩნდა“, რომ სულაც სწავლების თანამედროვე დასავლური მეთოდები ყოფილა!

რაც შეეხება ხელნაწერების პრაქტიკულ გაკვეთილებს, ასეთი სახისა იყო: ჩვენ, ახალგაზრდა კოლეგები, ქალბატონ მზექალასთან ერთად ვმუშაობდით გამოსაცემ ტექსტებზე (ფიზიკურად ერთ სივრცეში ვისხედით, google drive-ის მსგავსი რამ მაშინ არ არსებობდა). ქალბატონ მზექალას სამუშაო მაგიდაზე ედო დავთარი, რომელშიც მონიშნული იყო ძირითადი ტექსტი და ვარიანტები, უკვე დადგენილი, ათასჯერ შემოწმებული; ჩვენ (ძირითადად, 3 ან 4 თანამშრომელს) წინ გვედო თითო-თითო ხელნაწერი. ქალბატონი მზექალა ამოიკითხავდა ერთ წინადადებას – ზოგჯერ ერთ სიტყვასაც – და ჩვენ ვუდასტურებდით იკითხვისების სისწორეს კონკრეტული ხელნაწერიდან. როგორც წესი, ვჩერდებოდით პირველსავე წინადადებაზე და იწყებოდა ლექცია-სემინარების მთელი ციკლი; ზოგჯერ მთელი დღე უნდებოდა ქალბატონი მზექალა ჩვენს „მომზადებას“ ხელნაწერისთვის; კარადიდან თანდათან გადმოალაგებდა ბატონი აკაკის ნაქონ წიგნებს, უკვირდა, როგორ აპირებთ ამის ცოდნის გარეშე ხელნაწერზე მუშაობასო.

რამდენიმე წლის წინ ქალბატონი მზექალას დაბადების დღეზე ნანა შულლაძემ გაიხსენა ერთი ასეთი „გაკვეთილის“ შესახებ: დილის 10 საათზე უკვე ამოკითხული გვექონდა ხელნაწერის პირველი წინადადება, მაგრამ შემდეგ ველარ წავდგით ნაბიჯი წინ. ხან პრაქტიკულად გვავარჯიშა მოსალოდნელი იკითხვისების გარჩევაში, ხან სტატიებზე გვამუშავებდა, ხან რა დაგვიწუნა, ხან – რა. საღამოს ექვსი საათი რომ გახდა, ნანამ მორიდებით იკითხა, ძალიან დავიღალეთ და იქნებ დღეს დავიშალოთო? ქალბატონმა მზექალამ გაიკვირვა, ჯერ არც დაგვიწყია და თქვენ რამ დაგლალათ, მე რატომ არ დავიღალეო. ნანამ არ „დათმო“ საკუთარი უფლებები: თქვენ რომ არ იღლებით, ამიტომაც ხართ საქვეყნოდ ცნობილი მზექალა შანიძე, მე ერთი ჩვეულებრივი ნანა შულლაძე ვარ და, რამდენადაც ვიცი, უნდა მქონდეს დაღლის უფლებათ.

სულ ვფიქრობ, როგორ „ემეტებოდა“ ამგვარი „საშინაო გაკვეთილებისთვის“ უამრავი დრო და ენერჯია – ეს ხომ მის სამეცნიერო შრომებს აკლდებოდა! მზექალა შანიძეს სხვანაირად არ შეეძლო, ის მუდმივად ქმნიდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროფესიულ გარემოს, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, გიორგი წერეთლის თაობაში დაგროვილი მემკვიდრეობითი ცოდნის გადამცემ

მექანიზმს, ამაზე ხარჯავდა ყველაზე დიდ რესურსს. ზუსტად იცოდა, რომ სწორედ ასე შექმნილ გარემოში ექნებოდა იმ სამეცნიერო ნაშრომებსაც ფასი!

- *მზექალა შანიძის აკადემიური წესები საბჭოურ საგანმანათლებლო სისტემაში*

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ქალბატონი მზექალა ინტენსიურად მუშაობდა უმაღლესი განათლების სფეროში; იგი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს – სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის მისაღები გამოცდების კომისიას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ მიმართულებით მზექალა შანიძის მრავალწლიანი გამოცდილება არის უნიკალური მაგალითი იმისა, რომ საბჭოურ, ნაცნობობასა და შეღავათებზე აგებულ, არადემოკრატიულ სისტემაშიც კი შესაძლებელია იმუშაო საკუთარი აკადემიური „წესებით“:

ვეცდები, ავხსნა ამ უნიკალურობის მიზეზი: საბჭოურ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვა „საჭირო“ არ იყო, ვინაიდან თავად სისტემა, მისი იდეოლოგია „ითვლებოდა“ მთავარ დამცველად. პოსტსაბჭოური პერიოდი იმდენად დადგა, რამდენადაც მოქალაქეებმა მიიმედ, მაგრამ მაინც დაიწყეს საკუთარ უფლებებზე ფიქრი, რაც მთავარია – მათი დაცვა. პოსტსაბჭოურიდან თანამედროვე დემოკრატიულ, დასავლური ტიპის საზოგადოებად ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი მხოლოდ მაშინ შედგება, როცა ჩვენ გაცნობიერებულად (და არა პარლამენტში ლამის ძალდატანებით მიღებული კანონით!), შეგნებულად ვალიარებთ და დავიცავთ სხვების – მათ შორის ყველაზე დაუცველების უფლებებს.

ერთი შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ მზექალა შანიძემ საბჭოურ სისტემაშიც კი მოახერხა, გამონაკლისის გარეშე ემუშავა ყველაზე თანამედროვე, ყველაზე დემოკრატიული წესით; ეს წესი უკლებლივ ყველა აბიტურიენტს აყენებდა თანაბარ პოზიციაში და გამოარჩევდა ერთადერთი ნიშნით – აკადემიური მაჩვენებლით.

ამ აკადემიური წესის დანერგვასთან დაკავშირებულ სირთულეებს ქალბატონი მზექალა თავად განმარტავს ერთ-ერთ ინტერვიუში: „მზექალა შანიძე რომ არ წერდა ნიშანს იმიტომ, რომ იმ სტუდენტმა არაფერი იცოდა, ამის გამო ბრძოლა გამოუცხადეს მზექალა შანიძეს, რამენაირად რომ დაეწერინებინათ მისთვის ნიშანი. ეს აღარ იყო დეიდისა და მამიდის პროტექცია, ეს იყო სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც ითხოვდა ფორმალურად მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს“ (გაზეთი თბილისის უნივერსიტეტი).

დარწმუნებული ვარ, ოდესმე, როცა ჩვენშიც დაიწყება საბჭოური სისტემის კვლევა, საგანგებოდ შეისწავლიან მზექალა შანიძის, ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიის ლეგენდარული ხელმძღვანელის, ფენომენს: როგორ ქმნიდა იგი ყოველწლიურად თანამზ-

რახველების გუნდს და მათთან ერთად უშეღავათოდ იცავდა ყველაზე დემოკრატიულ, ყველაზე აკადემიურ პრინციპებს; რატომ ვერ „აჯობა“ მას სისტემამ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია იმდროინდელი საგამოცდო სისტემის შინაარსობრივი რეფორმირების მზექალა შანიძისეული გეგმა. ძნელია დაიჯერო, რომ 1967 წელსაა დაბეჭდილი ქალბატონი მზექალას სტატია წერითი გამოცდების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ერთი მხრივ, მასში შეულამაზებლათაა აღწერილი, რა შედეგებამდე მივყავართ ფსევდოპატრიოტულ საბჭოურ სასწავლო თუ საგამოცდო სისტემას; მეორე მხრივ, მეთოდოლოგიური სიზუსტითაა ნაჩვენები, რატომ და როგორ უნდა შეიცვალოს ეს სისტემა. შდრ. „რატომ არ შეიძლება სტანდარტული და ზეპირად დასწავლილი „ავთანდილის დახასიათების“ მაგიერ დავაწერინოთ ისეთი თემა, რომელიც აბიტურიენტის ლიტერატურულ განათლებასა და გემოვნებას გვიჩვენებს? რატომ არ შეიძლება მივცეთ გასარჩევად რომელიმე მცირე მოცულობის ნაწარმოები, არასაპროგრამო – ქართული, რუსული ან უცხოური ლიტერატურიდან, მივცეთ ხელში, რომ ტექსტის კარგად გაცნობის საშუალება ჰქონდეს, და შემდეგ ნაწერი შევაფასოთ არა გადმოწერილი ციტატების რაოდენობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რას იტყვის იგი ამ ნაწარმოების შესახებ? რატომ მიანცდამაინც „ელგუჯა“ უნდა გაარჩიოს ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელმა და არა არაგვისპირელის, ჩეხოვის ან ჰემინგუეის რომელიმე მოთხრობა?“ (სტატია სრულად იბეჭდება მზექალა შანიძის საიუბილეო კრებულში).

რა გამოდის? იმას, რასაც დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით საგამოცდო ცენტრებში ტექნოლოგიურად გამართული სისტემა უზრუნველყოფს ტესტების შერჩევის წესით დაწყებული ვიდეოკამერებით დამთავრებული, „ერთი მზექალა შანიძე“ ასრულებდა თავისი მკაცრი აკადემიური წესით. მასვე ჰქონდა შემუშავებული თანამედროვე განათლების უმთავრესი გეგმა – როგორ უნდა გარდაქმნილიყო ფორმალურ დაზეპირებასა და მენსიერებაზე ორიენტირებული სასწავლო თუ საგამოცდო პროცესი ტექსტის გააზრებასა და ანალიზზე დაფუძნებულ სისტემად.

ვფიქრობ, ამ ფრაგმენტული მიმოხილვიდანაც კი აშკარაა, რატომ იქცა მზექალა შანიძე ქართული ფილოლოგიის ცოცხალ ლეგენდად, რატომ რჩება იგი დღემდე აკადემიური სივრცის ეტალონად, როგორ გაუსწრო მან დროს, როგორ აჯობა იმ დროს უძლეველ საბჭოურ სისტემას და აქეთ დაუწესა მას მაღალი აკადემიური და ღირებულებითი სტანდარტი, როგორ შეძლო, ურთულეს დროშიც კი შეენარჩუნებინა სამეცნიერო თაობებს შორის უწყვეტობა.

ნინო დობორჯგინიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მზექალა შანიძე და ფილოლოგია

ჩვენთვის დიდი სიხარულია, რომ დღეს მზექალა შანიძის 95-ე დაბადების დღეს ვზეიმობთ და რომ გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენს კოლეგას, შესანიშნავ პიროვნებასა და მეცნიერს ვუსურვოთ დღეგრძელობა და მხნეობით ფილოლოგიური საქმიანობის მფარველობა.

მზექალა შანიძემ ფილოლოგიის სფეროში მამის ბრწყინვალე საქმე განაგრძო და ქართული მეცნიერების ძნელბედობის ჟამს გადაარჩინა იგი. ჩვენ, ქართველოლოგებს, მნიშვნელოვანი ძველი ქართული ტექსტების გამოცემები გვაჩუქა და ორიონის მბრწყინავი თანავარსკვლავედის სურათის ქვეშ გააფართოვა შუა საუკუნეების ტექსტების კვლევის ჩარჩო მრავალი საქმიანობისათვის.

აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ მის წიგნებს, რომლებშიც ძველი ქართული ფილოლოგიის პრობლემები ეგზემპლარულად შეიძლება შევისწავლოთ. ერთი – ფსალმუნთა გამოცემა, რომელიც ებრაული და ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანეს ტექსტებს განეკუთვნება, არაჩვეულებრივი კომპლექსურობის ნიმუშია და გვიჩვენებს, შესაძლო სხვაენოვანი დედნების, შემჯიბრებელი თარგმანებისა და ყოველდღიური მოხმარების სწორედ ამ ტექსტების რამდენად ზედმიწევნითი მოსაზრებაა საჭირო გამოცემის საქმეში. მეორე ტექსტი, რომელიც არა მხოლოდ ფილოლოგებს მოხიბლავს, არის ქართული გრამატიკის უძველესი ტრაქტატი, რომელიც ამოწმებს, ქართველი ბერები რამდენად ბერძნული განათლების ზიარნი იყვნენ და რომ მათ ენათმეცნიერული არგუმენტაცია შეეძლოთ.

მზექალა შანიძის სტატიების წინამდებარე კრებულთან დაკავშირებით მიინდა გავიხსენო, რომ ფილოლოგიაში ზოგჯერ პრობლემები, რომლებიც გარეგნულად მხოლოდ ტექსტის პატარა ასოების სისწორეს ეხება, მეთოდის და გაგების არსებით პრობლემებს აშუქებს. მხედველობაში მაქვს მისი უაღრესად მკაფიო მოხსენება*, რომელიც ქართველოლოგიურ კონგრესზე 2015 წელს წაიკითხა და რომელმაც ყურადღება გამამახვილებინა მისი შრომის საფუძველმდებარე მხარეზე. მზექალა შანიძემ ისაუბრა ძველ ქართულ ქრონიკაში დადასტურებული სახელის ერთ ფორმაზე, რომელიც თავდაპირველად მცირე აზიის მდინარე ჰალისს აღნიშნავდა. ქრონიკის შემდგენელმა ვერ გაიგო თავის წყაროში ამოკითხული სახელი და მას სხვა ტოპოგრაფიული მნიშვნელობა მისცა. ეს არის ტიპური და სასწავლო თვალსაზრისით მდიდარი პრობლემა. უმეტესობისათვის – ფილოლოგების გარდა – სავარაუდოდ, სასაცილოც შეიძლება იყოს და დღევანდელი მეცნიერების შოუბიზნესში ასეთი ნააზრევით, ალბათ, პუბლიკისგან წარმატებას არ უნდა ელოდო, მაგრამ ეს იყო სანიმუშო მოხსენება,

რომელიც თვალნათლივ აჩვენებს ფილოლოგიური სამუშაოს ფუნდამენტურ ასპექტებს.

ტექსტის ამ კონკრეტული ადგილის პრობლემა ზუსტი კრიტიკული წაკითხვის გარეშე ვერ ამოიცინობა და სპეციფიკური მიდგომის გარეშე ვერ გადაწყდება. პირდაპირ გასაგებ ფორმას ვერც ხელნაწერთა – თავისთავად აუცილებელი – შედარება მოგვცემს და არ არსებობს მექანიკური ოპერაცია და არც ასე დიდი და სასარგებლო, კომპიუტერში შენახული მასალა იძლევა მექანიკურ ინტერპრეტაციას. გეხმარება მხოლოდ ის, რასაც ჰერმენევტიკის წამყვანმა ფუძემდებელმა, ფრიდრიხ შლაიერმახერმა ე.წ. „დივინატორული (ე.ი. მვარაუდებლის) მეთოდი“ დაარქვა და რომელიც ემყარება „წვრთნით განსწავლულ ტალანტს“.

ეს ტალანტი, ტექსტების ფართო ცოდნა და ისტორიული განსწავლულობა იძლევა უფლებას, „შეხედო ავტორს თავის სახელოსნოში“, როგორც ეს განსაზღვრა ფილოლოგმა კარლ ლახმანმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (და ამ ტალანტის საფუძველზე მკვლევარს შეიძლება უცებ გამოუვიდეს აღმოჩენა – როგორც აკაკი შანიძეს, რომელმაც გიორგი მთაწმინდელისეული ტერმინი „ხანმეტი“ დილით გაღვიძების დროს გაიგო). მზექალა შანიძის მაგალითის უძლიერესი მხარე არის ის, რომ სახელ ჰალისის „სწორი“ თავდაპირველი ფორმა ამ შემთხვევაში სწორედაც მცდარია, ვინაიდან ტექსტისთვის გადამწყვეტია, რა ესმოდა ქრონიკის ავტორს და არა ის, რასაც მისი წყარო გულისხმობდა.

ამის გარდა, მთელ ფილოლოგიურ სამუშაოს (ან გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ჰელდერლინის სხვა კონტექსტში გამოყენებული სიტყვებით რომ ვთქვა: „მტკიცე ასოს მოვლას“ და „არსებულის კარგ ახსნას“) აქვს არსებითი წინაპირობა, კერძოდ, ტექსტის მიმართ პატივისცემა. ისტორიული თვალსაზრისით, ეს პატივისცემა არის კანონიკურ ტექსტებზე, როგორცაა ჰომეროსი ჰელინისტურ ფილოლოგიაში და წმინდა წერილი, ფილოლოგიური მუშაობის მემკვიდრეობა. ეფრემ მცირისთვის ეს წარმოადგენდა არა მარტო წმინდა წერილის, არამედ მისი წინამორბედების თარგმანებისა და კომენტარების პატივისცემასაც. მაგრამ დღევანდელი ფილოლოგისთვის კი ასევე ქრონიკის ავტორის ტექსტიც პატივისცემას ითხოვს და ამიტომაც – გაგების ძალისხმევას.

მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს ასპექტი, რომლებიც შეიძლება ისწავლო კარგ ფილოლოგთან, ძალიან აქტუალურია. ვინც დღეს საქართველოში ან სადმე სხვაგან უნივერსიტეტში მუშაობს ან მხოლოდ საზოგადოებრივ დისკურსს ზედმიწევნით ადევნებს თვალს, იცის, რომ

კრიტიკული კითხვა, ისტორიულად და ტექსტურულად დასაბუთებული ინტერპრეტაციის უნარი და ტექსტის მიმართ პატივისცემა ისევე, როგორც ამ უნარების გამომუშავება საჯარო სკოლაში, თავისით არ ხერხდება. ამიტომ იმედი მაქვს, რომ მზექალა შანიძის სიტყვა თავისი ღრმა მნიშვნელობით შესმენილ იქნება. ყველა ჩვენგანს ვუსურვებ, რომ დიდხანს მოგვცეს თავისი სიტყვების მოსმენის შესაძლებლობა, სიტყვებისა, რომლებიც ჩაგვაფიქრებს.

და ბოლოს ვისურვებ, რომ ჯანმრთელი იყოს. მე უკვე ვხარობ მისი მესამე დაბადების დღით.

ვინფრიდ ბოედერი
ოლდენბურგის უნივერსიტეტი

აკადემიკოსი მზექალა შანიძე „ალსავესე ყოვლითა მეცნიერებითა“

უნივერსიტეტის იდეა ზოგადია, მაგრამ მისი ისტორია მაინც კონკრეტული მოვლენებისა და პიროვნებების, კონკრეტული სახეებისა და სახელების კრებსითობით განისაზღვრება; თაობათა დამოკიდებულებასა და ფასეულებრივ რეტროსპექციასაც ალბათ ეს გარემოებანი სძენს განმასხვავებელ ნიშნებს.

ჩვენ, უნივერსიტეტის რამდენიმე თაობას, და მათ შორის – 70-იანი წლების სტუდენტებსაც, ნამდვილად გაგვიმართლა, რომ წილად გვერგო მზექალა შანიძის მოწაფეები ვყოფილიყავით და უშუალოდ განგვეცადა ის მადლი, რაც ქალბატონი მზექალას თაობას პირდაპირ მემკვიდრეობად გადმოეცა უნივერსიტეტის მესაძირკვლეებისა და ქართველოლოგიურ მეცნიერებათა ფუძემდებლებისაგან. ამ ურთიერთობის წინაპირობას ქმნიდა წარმოდგენაც კი იმისა, რომ მისი უშუალო მოძღვრები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი და თავად აკაკი შანიძე – მამა და პირველი წარმმართველი მისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებისა.

პირველ რიგში უთუოდ ეს მემკვიდრეობა უნდა „ამოვიკითხოთ“ მზექალა შანიძის მტკიცედ ჩამოყალიბებულ მეთოდებსა და დამოკიდებულებებში.

დროის ამ დისტანციიდან იმდროინდელი შთაბეჭდილებების შეფასებით, მზექალა შანიძის სწავლების მეთოდი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ლექტორთა უმეტესობის დამოკიდებულებისაგან ამ

პროცესისადმი. ჩვენთვის რუტინად ქცეული თეორიებისა და კანონების მშრალ ნაკადში, მხოლოდ ნიმუშად რომ შეერეოდა ორიოდ ილუსტრაცია (რაც ასევე უცვლელად გადადიოდა სახელმძღვანელოებიდან ლექციებზე, კურსიდან – კურსზე...), პირდაპირ ოაზისი აღმოჩნდა ქალბატონი მზექალას ლექცია-სემინარები, რადგანაც სულ ახალ-ახალი ცოცხალი ნიმუშების გაგებისა და გააზრებისკენ მიმართავდა ჩვენს ყურადღებას (მით უფრო, რომ ეს მასალა უმდიდრესი ძველი ქართულის მაღლიან წიაღს წარმოადგენდა). „ზოგად თავბრუსხვევას“ მიჩვეულებს ზოგჯერ გვიკვირდა კიდევ, რა იყო ასეთი მნიშვნელოვანი რომელიმე „კრაველ“-სიტყვაში, რომელსაც ქართული ენის მთელი ისტორია გამოეგლო და დღესაც ცოცხალი იყო... და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ამ ემპირიული სწავლების შედეგები გონებაში ჩაბეჭდილივით, წარუშლელად გვრჩებოდა, ვხვდებოდით, რომ ნამდვილი ზოგადობა ამ საკვანძო დეტალებსა და პრეცედენტებშია, რომ ერთეული გამონაკლისიც კი ხშირად ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელია სისტემისა და კანონზომიერებისა.

შეიძლება ითქვას, რომ მზექალა შანიძე კვლევაშიც ამ მეთოდის მიმდევარია. ემპირიზმი და ძიების ინდუქციური განვითარება ის კლასიკური მემკვიდრეობაა, რომლის პრაქტიკულ გაკვეთილებსაც წინამორბედთა შემდგომ მასზე უკეთ თითქმის ვერავინ წარმოგვიდგენს. ფაქტობრივ ყოველ საკვლევაძიებო პროცესს იგი იწყებს საკითხის კონკრეტულად და ნათლად დასმით და თანამიმდევრულად მიჰყავს საბოლოო დასკვნამდე, ანუ შესაძლებელ განზოგადებამდე. თვით სათაურიც კი ბევრი მისი ნაკვლევისა – კონკრეტიკაზე დაფუძნებული – ამ ტენდენციის გამომხატველია („სილოდა და მელოდარი ძველ ქართულში“, „უნჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის“, „მასლათა თუ მისეულითა“ და სხვ.).

და, რადგანაც ოსტატ-შეგირდის ტრადიციულ ურთიერთობაში აღზრდის ელემენტი არანაკლებ ადგილს იკავებს, კიდევ ერთი დროით გამოცდილი შთაბეჭდილება: მზექალა შანიძე გასწავლით საქმით, პირადი მაგალითით, და არა – დარიგებებით, შეგონებებით. იგი არასოდეს გახვევთ საკუთარ აზრს თავს და მხოლოდ არგუმენტის ძალით გაიძულებთ, გაჰყვით მისი მსჯელობის ლოგიკას...

მზექალა შანიძის ტრადიციული გაკვეთილების კიდევ ერთი სანიმუშო მაგალითია ის, თუ როგორ ეკიდება იგი რაიმე საკითხის კვლევას. იგი ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო „ძნელი“ ავტორი – მისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ახალი სამეცნიერო

აზრის მიმართ თითქმის არასოდეს არ ეტევა განსაზღვრულ ლიმიტსა და დროში. იგი საკუთარ ნაწერს – ყოვლად გამართულს აზრობრივად და გარკვეულს კალიგრაფიულად – ყოველ ჯერზე ხელახლა უბრუნდება და ხვეწს – მეორედ, მესამედ... მეათედ! ამიტომაც არის მისი ნაწერი ყოველთვის მაღალი კონდიციისა – რომელსაც ვერც გამოაკლებ რაიმეს და ვერც მიუმატებ.

მზექალა შანიძის ამგვარი კლასიკური კვლევის ნიმუშებია როგორც ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა ისტორიის ამსახველი, ისე ბიბლიურ წიგნთა რედაქციული ჩვენებების ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ექსკურსები – ხელნაწერ ვერსიებზე კოლოსალური შრომის შედეგად მიღებულ უზუსტეს, დაწურულ დასკვნებს რომ გვთავაზობს.

მაგალითად, ასეთია სანიმუშო მინიატურა „ყველ-“ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ (რომელიც მხოლოდ ერთი ნაწილია ლექსიკოლოგიური სტატიისა „ძველი ქართული ენის ლექსიკიდან“ – ხელნაწ. ინსტ. მოამბე, II, 1960). ამ ლაპიდარულ ანალიზამდე განა შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რომ ყველ-ი სიტყვა არქაული მიმღებობაა. ერთადერთი, რასაც შეიძლება დავევეჭვებინეთ, არის ვ ფონემის დადასტურება ძველ ტექსტებში. ძველი ქართულის ფონოლოგიის მიხედვით, ხშულეზის (მათ შორის – ყ-ს) მომდევნოდ მოსალოდნელია ჭ ნახევარხმოვანი (ანუ მაშინ, თუ ასეთი კომპლექსი (ძჭ, კჭ, ცჭ, გჭ, ყჭ...) პირველადია), მაგრამ თუ მსგავსი სტრუქტურის თანხმოვანთიმდევრობა ძირეული ხმოვნის რედუქციის შედეგად არის მიღებული, გვექნება ცვ, გვ, ჩვ, ყვ... (ი-ცავ > მცველი, ჰ-გავ-ს > გვანება, შევ > შვილი, ჰ-ყავ-ს > ყვანება...). მართალია, ხელნაწერებში ისეთი ფაქტებიც დასტურდება, როცა ვ-ს ადგილას ჭ გვხვდება, მაგრამ მთავარია, რომ ვ//ჭ განაწილების ზემომითითებული წესი ძირითადად დაცულია.

ეს ერთი საბუთია იმისა, რომ ყველ- ფუძის აგებულებას მეცნიერის დაეჭვება გამოეწვია.

მეორე და მთავარია ის, რომ ყავ- ზმნური ძირის ოპოზიცია ზმნისწინებით არსებითად სემანტიკურ ანტონიმას ქმნის: გან- ზმნისწინით გვაძლევს „დანაწევრების, განწილვის“ მნიშვნელობას (გა-ყავ, გან-ყოფ-ა), ხოლო, მეორე მხრივ, შე- ზმნისწინით – საპირისპიროს: „შეერთება, შეკავშირება“ (შე-ყავ, შე-ყოფ-ა). და, რაც მთავარია, ძველი ქართული ტექსტების, კერძოდ, ეფრემ მცირის ზედმიწევნითი ცოდნა მეცნიერს სთავაზობს სანდო ორიენტირს: „რამეთუ ყუელი შეყოფილი არს, შედგენილი და განმაგრებული“.

შემდგომი ელემენტი ყველის მიღების შინაარსეული ცოდნაა: ეს პროდუქტი ხომ რძის შედედებით მიიღება, რასაც ხალხურად „შეყველებასაც“ ეძახიან.

დარჩა ერთადერთი: გამოდის, რომ ყველ-ი მიმღეობაა (< ყავ-ელ-ი). მაგრამ ვნებითი გვარის მიმღეობებს -ილ/-ულ სუფიქსი აწარმოებს (თხრ-ილ-ი, ხნ-ულ-ი). თუ არსებობს -ელ სუფიქსის შემცველი მიმღეობები? დიახ, ეს არქაული მიმღეობური მოდელი ჩანს; მაგ.: თხ-ელ-ი (გან-თხ-ა), კმ-ელ-ი (გა-კმ-ა), ვრც-ელ-ი (გან-ა-ვრც-ო)...

აშკარაა, რომ ყველ-ის მიმღეობური წარმომავლობა სრულიად ნათელია, მაგრამ ხომ ხედავთ, რაოდენ გაგვიჭიანურდა იმ ლოგიკის წარმოდგენა, რითაც მზ. შანიძე ლაკონიურ, უზუსტეს სამეცნიერო მინიატურას გვთავაზობს (რისი მნიშვნელოვანი ნაწილიც, მისი ხელწერისამებრ, სიტყვის ისტორიის დოკუმენტირებას ეთმობა) და ამით თუ ვინმეს და რაიმეს გვაგონებს, ისევ აკაკი შანიძის დიდოსტატურ გტიმოლოგიებს.

საინტერესოა მზექალა შანიძის აზრი კონიექტურებთან დაკავშირებით; იგი აღნიშნავს: „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში (ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში), როგორც ცნობილია, მრავალი დამახინჯება და შეცდომა გვხვდება. ამიტომ ტექსტუალური კონიექტურები საზოგადოდ სრულიად აუცილებელია ამ თხზულებათა ტექსტის სწორად გასაგებად და თავდაპირველი, ავტორისეული იკითხვის გამოსავლენად.“

უნდა ითქვას, რომ კონიექტურებთან დამოკიდებულება სამეცნიერო წრეებში საკმაოდ არაერთგვაროვანია, რადგანაც არაერთ შემთხვევაში მოსაფრთხილებელ ტექსტებში ჩარევა გონებამახვილურ გატაცებად ქცეულა და ფაქტობრივ ინტერპოლაციებს დაახლოებია. მაგრამ იმ კატეგორიის კონიექტურები, რომელნიც მზექალა შანიძისეული ტექსტოლოგიური და ფაქტოლოგიური ცოდნითა და ტექნიკით არის განმტკიცებული, არაორაზროვნად გვაყენებს მეცნიერის მხარეს. ამ კატეგორიის შთამბეჭდავი ტექსტოლოგიური მიგნებანი მრავლად არის ქალბატონი მზექალას მიერ შესწავლილ ბიბლიურსა თუ ისტორიოგრაფიულ ტექსტებში. მაგალითად: „მასლათა თუ მისეულითა“ (ძვ. ქართ. ენის კათ. შრ. ტ. 25, 1984). დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მზ. შანიძის მიერ გამართულ ფრაზაში: „...წარვიდა მისეულითა კაცითა ათასხუთასითა“ მანამდე „მისეულითა“ ფორმის ადგილას იჯდა „მასლათა“ და ის უცნობ გეოგრაფიულ სახელად იყო მიჩნეული! ფორმა „სანთლითა“ ფრაზაში – „არამედ სანთლითა თვთ მათვე ტყეთათ და მთხრებლთათ ტყუედ მოჰყუანდეს ყოველნი ქრისტეანნი“ ჩანაცვლდა ფორმით „სამალავთადათ“. „ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი“ – პირველი სიტყვა შეიცვალა „ქადებულ“ ფორმით. „დასრულებად და უდებებად დამზიდველთა ნებისათა“ – პირველ ფორმას შეენაცვლა შინაარსობრივად სრულიად ადეკვატური ფორმა „დასულებად“ და სხვ.

როგორც ცნობილია, ქალბატონ მზექალას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მრავალგანგანთესული ხელნაწერების მოძიებასა, შესწავლასა და გამომზეურებაში. ყველა ეს საქმე ზეალმატებულ დათმენასა და შრომას მოითხოვს, ხოლო ამ შრომის არათუ პროცესი, არამედ შედეგებიც კი უჩინარია, ჩვეულებრივია თვალისათვის და თვით კვლევის შედეგებიც არ არის საყოველთაო ინტერესის საგანი, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეს შეუძლია მისი „სიტკბოს“ მიღება. მით უფრო დასაფასებელია ღვაწლი ამ ოქროს საგანძურის გამომვლენელი მუშაკებისა, რომელთა მიერ უზადოდ მომზადებული და გამოცემული ტექსტების უკან ძველ მესენაკე მონაზონთა სულისკვეთება და რუდუნება უნდა დავინახოთ.

მზექალა შანიძემ დიდი შრომა გასწია ბოლოხანს სინის მთაზე გამოვლენილი ხელნაწერების მოძიება-შესწავლაში. აი, ერთი მაგალითი ამ – თვალის მისადვენებლადაც საძნელო ძალისხმევისა:

1883 წელს ა. ცაგარელმა წმ. ეკატერინეს მონასტერში აღწერა ქართული ხელნაწერები, რომელთაგან ზოგი, მათ შორის, იოანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილი N92 და N93 ხელნაწერები, 1902 წელს ადგილზე აღარ დახვდათ ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს, ხოლო მოგვიანებით ბელგიელი ორიენტალისტის, ჟერარ გარიტის კატალოგში ამ ნომრებთან აღნიშნულია – „დაკარგულია“. უ. გარიტმავე მიაგნო N93 ხელნაწერის კვალს და 1967 წ. გამოაქვეყნა ცნობა, რომ ხელნაწერი ევროპიდან ამერიკაში მოხვედრილა 1922 წელს. მის შემძენს, რობერტ გარეტს ის 1942 წელს პრინსტონის უნივერსიტეტისთვის გადაუცია. გარიტმა შეისწავლა ეს ხელნაწერი და მოიძია მისი რამდენიმე დაკლებული ფურცელიც (ერთი – ინგლისში, ორი – გერმანიაში)... გასული საუკუნის ბოლოს წმ. ეკატერინეს მონასტერში გამოვლინდა ხელნაწერთა ახალი კოლექცია და 1996 წელს მისი გაცნობის მიზნით იქ იმყოფებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიცია (მზ. შანიძე, ზ. ალექსიძე, მ. ქავთარია და ლ. ხევსურიანი). ახალ კოლექციაში მზ. შანიძემ მიაკვლია N20 ხელნაწერს და დაადგინა, რომ ის N93-ის დასაწყისი ნაწილია. ამავე დროს, უ. გარიტისა და ი. ასფალგის ცნობების მიხედვით, მზ. შანიძემ ივარაუდა, რომ შეიძლებოდა გეტინგენში N93-ის სხვა დაკლებული ფურცლებიც მოძებნილიყო. 1998 წ. იქ იმყოფებოდა ქალბატონი მზექალას უმცროსი კოლეგა ნინო დობორჯგინიძე და მან მასწავლებლის დავალებით შეძლო მოეპოვებინა სავარაუდო სირიულ-ქართული პალიმფსესტები. მისი 30 ფურცელი იოანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილი აღმოჩნდა და მათგან 7 N93-ს მიეკუთვნა. დანარჩენი 23 ფურცელი კუთვნილი აღმოჩნდა ა. ცაგარლის მიერ აღწერილი N92 ხელნაწერისა. რაც მთავარია, ამ ძიებამ ისიც აშკარა გახადა, რომ

N92 მთლიანი ცალკე ხელნაწერი კი არ არის, არამედ N93 ხელნაწერის ბოლო ნაწილი. და კიდევ ერთი: იოანე-ზოსიმეს ანდერძის მიხედვით, ა. ცაგარლის ცნობით, ამ ხელნაწერის ზუსტი თარიღია 986 წ. მაგრამ ეს ანდერძი დაკარგულ ფურცლებშია და ძიებაც გრძელდება: პრინს-ტონის უნივერსიტეტის სინური მასალებისადმი 1960 წელს მიძღვნილი გამოფენის აღწერილობაში მოიხსენიება იოანე-ზოსიმე და 986 წელი, რაც მზ. შანიძეს ავარაუდებინებს, რომ შესაძლოა იოანე-ზოსიმეს ანდერძი რ. გარეთის კოლექციაში იპოვებოდეს!..

მთელს ამ ისტორიას დეტალურად აღწერს მზექალა შანიძე წერილში „ქართული ხელნაწერი სინის მთიდან გერმანიაში“ – *Kaukasiologie heute. Festschrift für Heinz Fähnrich zum 70. Geburtstag.* Jena, 2015. მისი უკნინესი კონსპექტი მხოლოდ იმ მიზნით გავაკეთეთ, რათა გვეჩვენებინა, თუ რა თავდადებისა და შრომის ფასად უჯდებათ ჩვენს მოღვაწეებს ფურცელ-ფურცელ დაფანტული ჩვენი ძვირფასი ისტორიის მოძიება და მოკოწიწება.

მზექალა შანიძის წარმომავლობა – აკაკი შანიძის ოჯახი – და კლასიკური განათლების ის გზა, რომელიც უპირატესად მემკვიდრეობითობა-ბამ განაპირობა, აღმოჩნდა განმსაზღვრელი მისი მწყობრი და შინაარსიანი შემოქმედებითი ცხოვრებისა. მოზარდი მზექალა შანიძე შესანიშნავ ზოგად ფილოლოგიურ განათლებას, პირველ რიგში, საკუთარი მამის – აკად. აკაკი შანიძის – სამეცნიერო გარემოს მეშვეობით ეზიარა; შემდგომ კი მისი საფუძვლიანი პროფესიული დაოსტატების სამჭედლო აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ (1943-45 წწ) ფილოლოგიის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელიც 1945 წელს გამოეყო ფილოლოგიის ფაკულტეტს და ქართული მეცნიერების კიდევ ერთ თვალსაჩინო სკოლად ჩამოყალიბდა. ამ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტი მზექალა შანიძე ხანგრძლივად (1948-49 წწ) იყო მივლინებული პეტერბურგში, სადაც მის განსწავლასა და სამეცნიერო დაოსტატებას წარმართავდა ცნობილი სემიტოლოგი, აკად. ე. კრაჩკოვსკი. თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მზექალა შანიძე ასპირანტურის კურსს გაივლის დიდი ქართველი სემიტოლოგის, აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა მეცნიერმა საკანდიდატო დისერტაცია წარმატებით დაიცვა სწორედ სემიტოლოგიის მიმართულებით, სემიტური ენების მიმართულებით; კერძოდ, დისერტაციის თემა გახლდათ „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“.

1952 წლიდან ქალბატონი მზექალა მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სემიტოლოგიისა და ძველი ქართული

ენის კათედრებზე, კითხულობდა ძველი ებრაული ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის, ძველი ქართული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსებს... მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ ფუნდამენტური ორიენტაციისტური განათლება და თეორიულ-მეთოდოლოგიური მომზადება, აღმოსავლური ენების ფლობა, ასევე ძველი კლასიკური ენების ცოდნა, როგორც მნიშვნელოვანი სამეცნიერო კაპიტალი, მთლიანად ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის შესწავლაში, ანუ მამისეული საუნივერსიტეტო ფილოლოგიური ტრადიციების განვითარების საქმეში იქნა ჩაყენებული.

შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ ეროვნული უნივერსიტეტის იმ თაობამ, რომელსაც ღირსეულად წარმოადგენს აკად. მზექალა შანიძე, შეინარჩუნა და, თავის მხრივ, ახალი დროისა და პირობების შესაბამისად განავითარა ის მაღალი მეცნიერული სტანდარტი, რომელიც უნივერსიტეტისა და ქართული სამეცნიერო სკოლების ფუძემდებლებმა დაამკვიდრეს. სწორედ მათ – „შვილთა“ თაობას – მიუძღვის ლომის წილი იმაში, რომ, მიუხედავად სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე კრიზისული პროცესებისა და, არცთუ იშვიათად, დამანგრეველი პოლიტიკისა, ქართული მეცნიერება დღემდე ინარჩუნებს შესაბამის დარგებში მოპოვებულ ღირებულ მემკვიდრეობას. და მათ შორის, ვინც დღესაც ღირსეულად წარმოადგენს ქართული მეცნიერების პრესტიჟს, ქალბატონ მზექალას თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს.

აკად. მზექალა შანიძეს, საზოგადოდ, დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის წარმოჩენასა და შესწავლაში. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრაზე, უნივერსიტეტში დააფუძნა ხელნაწერი მემკვიდრეობის შემსწავლელი ლაბორატორია „ორიონი“, მონაწილეობდა არაერთ სამეცნიერო ექსპედიციაში საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში, რის შედეგადაც გამოავლინა და მეცნიერულად შეისწავლა არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ძეგლი, შექმნა ამ ძეგლების აღწერილობები, ტექსტოლოგიურ-რედაქციული და ენობრივი კვლევები; მაგალითად, ასეთი ფასეული გამოცემებია: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S ფონდისა, II-VI ტომები (1961, 1963, 1965, 1969 წლებში; სამეცნიერო აღწერილობა 1975 წელს სინას მთაზე აღმოჩენილი ქართული ხელნაწერებისა (ზ. ალექსიძესა, ლ. ხევსურთანსა და მ. ქავთარიასთან ერთად): *Catalogue of Georgian Manuscripts discovered in 1975 at St. Catherine's Monastery on Mt. Sinai, Athens, 2005*, რედაქტორი და ინგლისური ნაწილის მთარგმ-

ნელი მზ. შანიძე. *The old Georgian Version of the Liturgy of St. James* (თანავტ.: ლ. ხევსურიათი, მ. ქავთარია, თ. ცერაძე), Münster: Aschendorf, 1911, ძველი ქართული ტექსტისა და გამოკვლევის მთლიანი ინგლისური თარგმანი ეკუთვნის მზ. შანიძეს. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი (ნ. გოგუაძისა და ზ. სარჯველაძის თანარედაქტორობით), I ტ., თბ. 2005, II ტ., თბ. 2007, III ტ., თბ. 2014, IV ტ., თბ. 2020 და სხვ. მისი მონაწილეობითა და რედაქციით მომზადდა არაერთი მნიშვნელოვანი გამოცემა ძველი ქართული ძეგლებისა: „სინური მრავალთავი“, „შატბერდის კრებული“, „უდაბნოს მრავალთავი“, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, V-VI წიგნები, იოანე ოქროპირის „თარგმანებად მათეს სახარებისად“, I, II და III ტომები... და სულ ახლახან გამოცემული ქართული ბიბლიის სრული ორტომეული.

მკვლევარი წლების განმავლობაში შეისწავლიდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს და, საფუძვლიან მეცნიერულ კვლევასთან ერთად, მნიშვნელოვან პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ქრისტიანულ მწიგნობრობას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე ევროპის ქვეყნებში თუ სხვაგან. ყველა მისი მოხსენება, ყოველი მისი სიტყვა საყოველთაო ინტერესის საგანია ქართული კულტურით დაინტერესებულ საზოგადოებაში, ფართო ფილოლოგიურ წრეებში. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილ. აბულაძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (შემდგომ – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში), გელათის მეცნიერებათა აკადემიაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენისა და სიტყვიერი კულტურის შესწავლის შემდგომ წინსვლაში ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით დიდია, გამორჩეულია ქალბატონი მზექალას დამსახურება ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების შესწავლის საქმეში.

აკად. მზექალა შანიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ბიბლიურ წიგნთა ისეთი მარგალიტის კვლევამ, როგორც არის დავით მეფის საგალობლები – „დავითნი“. ამ წიგნს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიაში. როგორც აკად. კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, „ყველაზე ადრე ძველი ალექსის წიგნებიდან, ეჭვს გარეშეა, უნდა თარგმნილიყო დავითნი, ვინაიდან ძველად ღვთისმსახურებაში, სანამ ჰიმნოგრაფიული ელემენტი გაჩნდებოდა, ფსალმუნური სჭარბობდა“. სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობა გახდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკვლევრის სამეცნიერო ცხოვრების განუყოფელ თემად, ვინა-

იდან გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოკიდებული იგი დღემდე აქტიურად მუშაობს ამ ძეგლის ქართულ თარგმანთა ვერსიებზე.

როდესაც ქალბატონი მზექალა ამ ძეგლის შესწავლას იწყებდა, ქართული ფსალმუნის კანონიკური ტექსტი მხოლოდ გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სახით მოიპოვებოდა, მასზე ადრეული ტექსტი არ ჩანდა. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ 1956 წლისათვის ხელმისაწვდომი გახდა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის იმ სინური ხელნაწერების ფოტოპირები, რომლებიც მანამდე მხოლოდ აღწერილობათა კატალოგებიდან იყო ცნობილი. კერძოდ, გამოჩნდა, რომ რამდენიმე ხელნაწერი შეიცავდა მთაწმიდლისეულზე ადრინდელ ტექსტს, რამაც, ცხადია, სრულიად ახალი შინაარსი შესძინა ფსალმუნთა ხელნაწერი მემკვიდრეობის კვლევის საქმეს, ანუ ქალბატონი მზექალას სამეცნიერო ინტერესის ცენტრალურ მიმართულებას.

მართლაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უაღრესად დიდია აკად. მზექალა შანიძის წვლილი ფსალმუნთა ძველი ქართული თარგმანების მეცნიერულად შესწავლასა და შესაბამისი აკადემიური გამოცემების მომზადებაში. მან X – XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით დაადგინა და 1960 წელს გამოსცა „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები“ (სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები“). ეს იყო ბიბლიური წყაროების ერთ-ერთი სანიმუშო გამოცემა, რომელსაც სკრუპულოზური ფილოლოგიური მუშაობა უძღოდა წინ. ნიშანდობლივია, რომ მეცნიერმა სადოქტორო ხარისხი სწორედ ამ მუშაობის შედეგებზე დაიცვა 1975 წელს, ხოლო 1979 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მკვლევრის ენობრივ-ტექსტოლოგიური დაკვირვებანი აღნიშნული ხელნაწერი წყაროების შესახებ: „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“, ერთ-ერთი სანიმუშო ნაშრომი ბიბლიურ წიგნთა კვლევაში. ამ მრავალმხრივი კვლევის შედეგებმა, თავის მხრივ, მოგვიანებით ასახვა ჰპოვა კიდევ ერთ სამეცნიერო პროექტში, რომლის საფუძველზე 2010 წელს გამოიცა მეცნიერის მიერ ამ მასალების მიხედვით მომზადებული „ქართული ფსალმუნის სიმფონია“ (მასალები ადრეული ვერსიებისათვის და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სიმფონია).

ამ წიგნების სახით სამეცნიერო საზოგადოებას მიეწოდა ქართული მწიგნობრული მემკვიდრეობის პირველხარისხოვანი გამოკვლევები, რომელთაც ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ ამ ღვთიური საგალობლების შესწავლა ამით არ დასრულებულა. რადგანაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ცნობილი გახდა ქართული „დავითნის“ კიდევ რამდენიმე ახალი ვერსია ათონის მთისა და სინის

მთის ხელნაწერთა კოლექციებიდან, ქალბატონი მზექალა დღესაც აქტიურად მუშაობს ამ მასალების შესაჯერებლად საკუთარი კვლევის შედეგებთან და მათ ჩასართავად ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში.

როგორც ითქვა, მზექალა შანიძემ ღირსეულად გააგრძელა ქართული ფილოლოგიის ის ტრადიციები, რაც აკადემიურ ტექსტოლოგიასთან, ისტორიული ტექსტების მეცნიერულ დადგენა-გამოცემასთან არის დაკავშირებული და რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელიც აკადემიკოსი აკ. შანიძე ბრძანდებოდა. გარდა იმისა, რომ ქალბატონმა მზექალა შანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიბლიური ტექსტების გამოცემასა და კვლევაში, მან ასევე საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი განუმეორებელი ძეგლი, როგორცაა ანონიმი ავტორის „ცხოვრება მფეთ-მეფისა დავითისი“; და ძალზე ბევრი გააკეთა ამ უძვირფასესი ძეგლის აკადემიური ტექსტის დადგენისა და მისი გამოცემისათვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე (გამოიცა 1992 წელს).

გარდა თხზულების ტექსტის შედგენილობის სერიოზული გამართვისა და უაღრესად საინტერესო და რთული ენობრივი ქსოვილის ყოველმხრივი ანალიზისა, რისი საფუძველიც გახდა ბიბლიური ტექსტების ზედმიწევნითი ცოდნა და იმ გასაოცარი პლასტების გამოვლენა, რომელიც მემატიანის შემოქმედებითი არსენალის ორგანული ნაწილი აღმოჩნდა და რასაც დაემყარა არაერთი რედაქციული კორექტივი თუ მახვილგონივრული კონიექტურა, გამოცემა აღჭურვილია შესანიშნავი ფილოლოგიური გამოკვლევით ამ ტექსტის (შესაბამისი ხელნაწერების) ენობრივი ხასიათის, ლექსიკური შედგენილობისა თუ მისი ფაქტობრივ-ლიტერატურული წყაროების შესახებ (იხ. მაგალითად: ბიბლიური პარალელები დავითის ისტორიკოსის თხზულებაში, გელათის მეცნ. აკად. შრ. I, 2014 და სხვ.).

მკვლევრის ძირითადი მიზანი – „დავითის ცხოვრების“ ტექსტის დადგენა და მისი ყოველმხრივი შესწავლა, შეიძლება ითქვას, ოპტიმალურად არის შესრულებული, – ის მიზანი, რომელიც თვით ავტორის მიერ ამგვარად არის ჩამოყალიბებული: „ტექსტის გამართვა და კრიტიკულად დადგენა აუცილებელია თხზულებაში მოთხრობილი რეალური ისტორიული მოვლენების სწორად გასაგებად და გასააზრებლად. მხოლოდ ტექსტოლოგთა და ისტორიკოსთა ერთობლივი კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი როგორც დავითის მემატიანის თხზულებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა (მათ შორის, ავტორობისაც), ისე ამ ხელნაწერების ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინება ქართულ ისტორიოგრაფიაში და ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში“.

აკად. მზექალა შანიძემ ასევე კრიტიკულად შეისწავლა და მაღალი დონის აკადემიურ გამოცემად მოამზადა კიდევ ერთი ისტორიული თხზულება – ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. უნდა ითქვას, რომ ამ საისტორიო თხზულებების ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე მზ. შანიძემ არაერთი საინტერესო მოხსენება და წერილი უძღვნა მათიანეთა ცალკეული ადგილების წაკითხვა-ინტერპრეტაციასა თუ მნიშვნელოვანი ლექსიკურ-გრამატიკული იკითხვისების დადგენა-დაზუსტებას.

მზექალა შანიძის მიერ მომზადებული ეს თხზულებები შევიდა „ქართლის ცხოვრების“ თანამედროვე აკადემიურ გამოცემაში, რომელიც აკად. რ. მეტრეველის მთავარი რედაქტორობით გამოიცა 2008 წელს და რომლისათვისაც წიგნის შემდგენლებმა, მათ შორის – ქალბატონმა მზექალა შანიძემ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურეს. „ქართლის ცხოვრების“ ამ სარედაქციო შემადგენლობის მიერ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა – ეს საისტორიო წიგნები ითარგმნა და გამოიცა ინგლისურად და რუსულად, რაშიც (ზემოდასახელებულ თხზულებათა ნაწილში) ასევე მზ. შანიძემ შეიტანა თავისი წვლილი. ცხადია, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული საისტორიო წყაროების საერთაშორისო არენაზე გატანისათვის.

ქართული გრამატიკული (ენათმეცნიერული) აზრის ისტორიისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს მზ. შანიძის მიერ აკადემიურად შესწავლილსა და გამოცემულ გრამატიკულ ტრაქტატს „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ (თბ. 1990). ეს ტრაქტატი ერთგვარად ავსებს იმ თეთრ ლაქას, რომელიც, ესოდენ მონოლითური ძველი ქართული მწიგნობრული ტრადიციის ფონზე, წერილობით შემონახული გრამატიკული ნორმების არარსებობას უკავშირდებოდა. საქმე ის არის, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა იმდენად მოწესრიგებულია ნორმატიულად და იმდენად სტაბილურია საუკუნეთა განმავლობაში, ამ ენაზე იმდენად სერიოზული მთარგმნელობითი და ორიგინალური სამწერლობო სკოლებია ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია ეს ყოველივე საფუძვლიანი გრამატიკული კულტურის გარეშე შექმნილიყო. ცხადია, ეს აზრი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეტარებინა იმ პიროვნებას, იმ მეცნიერს, ვინც ესოდენ ღრმად და ასეთი ზედმიწევნილობით იცნობდა მდიდარ ქართულ მწიგნობრულ მემკვიდრეობას.

ამიტომაც სრულიად ლოგიკურია, რომ სწორედ მზექალა შანიძემ გამოავლინა, შეისწავლა და სათანადო გამოკვლევითურთ გამოსცა ეს უძველესი ქართული გრამატიკული თხზულება, რომელიც ასახავს XI-XII საუკუნეთა გრამატიკულ აზროვნებას საქართველოში, კერძოდ,

მკვლევრის დამაჯერებელი ვარაუდით, – ეფრემ მცირის ლიტერატურულ სკოლაში არსებულ გრამატიკულ ცოდნას. როგორც თვით ტრაქტატს, ისე ამ აკადემიურ გამოკვლევას უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის, ვინაიდან მისი ავტორი მხოლოდ ბერძნული გრამატიკის საკითხების ცოდნას კი არ ავლენს, არამედ ქართული ენის ცალკეული მოვლენების ხედვასა და ანალიზსაც. მკვლევარმა ეს აზრი უეჭველი გახადა პირველი ქართული გრამატიკული ტრაქტატის – „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ – გამოცემითა და გამოწვლილვითი შესწავლით. ეს თხზულება მეცნიერისათვის დამახასიათებელი სიზუსტით, სიღრმითა და სისრულით არის გამოკვლეული როგორც სტრუქტურულად და შინაარსობრივად, ისე ენობრივ-სტილისტიკურად, განსაკუთრებით კი – სისტემის აღმწერ ცნებათა, ტერმინოლოგიურ ერთეულთა თვალსაზრისით.

აკად. მზ. შანიძის, როგორც ქართული ენის მკვლევრის, სამეცნიერო ინტერესები თემების, პრობლემების ფართო წრეს მოიცავს. პირველ რიგში ეს არის ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები ძველი და გარდამავალი პერიოდის ქართულის ენობრივი მონაცემების მოხედვით, ასევე სალიტერატურო ენის აქტუალური ნორმატიული პრობლემები. ამ რიგის ნაშრომებს ეკუთვნის: „ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959); „ებრაული ანბანის გადმოცემის შემთხვევები ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერებში“ (ენათმეცნ. ინსტ. შრომები, II, 1957); „გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში“ (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956); „რომელ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში“ (სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერის ინტერესები უმთავრესად ძველი ქართული ენობრივი სამყაროსაკენ არის მიმართული, მას თავისი ყურადღება არც საშუალო და ახალი ქართულის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლებისათვის მოუკლია. მაგალითად, ისტორიულ ქართულთან და დიალექტებთან ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ენობრივი მიმართების საინტერესო ასპექტებს წარმოაჩენს მზ. შანიძის წერილი „ვაჟა-ფშაველა და ქართული სალიტერატურო ენა“, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა გერმანიაში. მეცნიერის ძირითადი დასკვნა ის არის, რომ „ვაჟა-ფშაველას ენა არ არის მხოლოდ „მთის მგოსნის“ ენა... ვაჟა-ფშაველა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელთა ტრიადის სრულუფლებიანი წევრია“.

ასევე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერი მუდმივად ადევნებს თვალს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებს და საზოგადოებას სთავაზობს ნორმატიულ რეკომენდაციებს ღრმა ისტორიზმისა და ფართო თეორიული თვალთახედვის საფუძველზე; ამიტომაც მისი წინადადებები ამ სფეროში ყოველთვის საფუძვლიანია და ანგარიშგასაწევი; მაგალითად, ასეთი აკადემიური სტატიებია: „ი- ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში“ (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, 1998); „ი- ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში“ (თსუ გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969)... ნიშანდობლივია, რომ სწორედ ქალბატონი მზექალა ხელმძღვანელობს ქართული სახელმწიფო ენის კომისიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში და აქ მოსმენილი იქნა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა ქართული ენის უზრუნველყოფა თანამედროვე ელექტრონული რესურსებით და სხვ.

განსაკუთრებული ინტერესითა და პოპულარობით სარგებლობს მზ. შანიძის ლექსიკოლოგიური, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ძიებანი. საყოველთაოდ არის ცნობილი, მეტიც, ქართული ლექსიკის ისტორიული კვლევის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს მისი ცალკეული სტატიები; მაგ.: „სილოდა და მელოდარი ქართულში“ (მაცნე, 1964); „ნებვის ეტიმოლოგიისათვის“ (ორიონი აკ. შანიძეს, 1967); „სორექ“ სიტყვა „აბდულმესიანში“ (თსუ-ს შრ. ტ. B2 (140), 1971); „უნჯაკალ სიტყვის განმარტებისათვის“ (ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 20, 1977); „ნადი და მამითადი“ (ძვ. ქართ. ენის კათედრ. შრ. ტ. 23, 1980); „თირკუმელ სიტყვა ფსალმუნში“ (კრ. „ვარლამ თოფურია – 100“, 2001); „დაჰმანი“ („დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“, თბ., 2012) და სხვ. ამ კონკრეტული კვლევების უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს მათი ღრმა ისტორიზმი, დოკუმენტირებისა და არგუმენტაციის საფუძვლიანობა და ფორმალური და სემანტიკური ანალიზის სიცხადე და დამარწმუნებლობა. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ღრმა ანალიზმა ქალბატონ მზექალას საშუალება მისცა გამოეველინა სულხან-საბას მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული წყარო, კერძოდ, არაერთი სიტყვის განმარტების საფუძველი ეფრემის „ფსალმუნთა თარგმანება“ აღმოჩნდა; მაგალითად, ქალბატონი მზექალას მიგნებაა, რომ ცხედარ- სიტყვის საბასეული ახსნა მთლიანად ეფრემ მცირის თარგმანებიდან მომდინარეობს: „ცხედრად ითქუმის შიშუელი საგებელთაგან, ხოლო სარეცლად დაგებული და გარდაგებული“ (ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანება“ როგორც საბას ლექსიკონის წყარო, აკაკი შანიძე – 100, თბ. 1987) და სხვ.

პირველსავე სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, სრულიად განსაკუთრებულია მზექალა შანიძის წვლილი როგორც პედაგოგისა, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ორგანიზატორისა. შეუძლებელია, ერთი ასპექტიც არ ითქვას: იგი წლების განმავლობაში ქმნიდა და ინარჩუნებდა სასურველ აკადემიურსა და მორალურ ატმოსფეროს და საკუთარ პოზიციებს არ ცვლიდა შექმნილი ვითარების, მიმდინარე კონიუნქტურის ანგარიშის გაწევით. ამას საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა გასული საუკუნის ბოლო პერიოდის მკვეთრი რყევების დროს. გარკვეულ ეტაპზე კომუნისტურმა სისტემამ აშკარად აამოქმედა რომელიღაც „ბ“ გეგმა ეროვნული უნივერსიტეტის უმწიკვლო რეპუტაციის შესარყევად. ასეთ დროს უშიშროების ამგვარი გეგმების საპირისპიროდ ყველაზე საიმედო ფარი იყო იმ ერთეულ პიროვნებათა პირადი სიმტკიცე და შეუვალობა, პიროვნული ავტორიტეტი, რომელთა შორისაც გამორჩეულად აღინიშნება ქალბატონი მზექალა შანიძის სახელი. ამიტომაც იგი ყოველთვის წრფელი პატივისცემით სარგებლობდა არა მხოლოდ მოწაფეებისა და კოლეგების, არამედ მთელი საზოგადოების მხრიდან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ, ყველაფერთან ერთად, აკად. მზექალა შანიძე მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებისა და პასუხისმგებლობის მატარებელი პიროვნებაა. მიუხედავად სამეცნიერო-აკადემიურ საქმეთაგან დიდი უცალობისა, იგი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო ცხოვრებაში და თავისი პირდაპირი და მართალი პოზიციით მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ურთულესი საზოგადოებრივი პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის ჩვენს ქვეყანაში. ამისი დასტურია მისი ხანგრძლივი აქტიური მოღვაწეობა საქართველოს ქალთა საბჭოში, მისი წევრობა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – უზენაეს საბჭოში. უთუოდ ყველას ახსოვს, რაოდენ რთული და მგრძნობიარე იყო ის დრო, როდესაც ქალბატონ მზექალას უწევდა უზენაეს საბჭოში თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების აღსრულება. მისი ბიოგრაფიის აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ იგი ხელმომწერია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტისა. და აქ უნდა ითქვას: როდესაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაეს საბჭოში ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე საზეიმო ვითარებაში აწერდნენ ხელს, ძნელი სათქმელია, იმ ხელმომწერთაგან ვის რა ფიქრი და ზრახვა უტრიალებდა თავში, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალბატონი მზექალა, თავისთავად ამაღლებული განწყობის გარდა, იმასაც ფიქრობდა, რომ თავისი დიდი მამის, აკაკი შანიძის, საუკუნოვან ოც-

ნებასაც აღასრულებდა; მამისა, ვინც, სხვათა შორის, ავტორია ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებამდე შექმნილი „ქართული ეროვნული ჰიმნისა“ (1917 წლის 5 დეკემბრითაა დათარიღებული), რომელსაც აკაკი შანიძე (ვისი პოეტური ნიჭიც ყველასთვის ცნობილია, რაც ასევე მემკვიდრეობით გადმოჰყვა ქალბატონ მზექალას) ასეთი მოწოდებით იწყებს:

აბა, ფხიზლად, ქართველებო, მივყვეთ მამა-პაპის კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!

დასასრულ უნდა ითქვას, რომ გამოჩენილი მეცნიერი კვლავაც აქტიურად არის ჩაბმული ქვეყნის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი სამეცნიერო აქტივობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სწორედ მკვლევრის შემოქმედებითი ცხოვრების უახლეს პერიოდს ეკუთვნის. აკადემიკოსი მზექალა შანიძე ამითაც ამართლებს დიდი მამის გენეტიკურ მემკვიდრეობას – იგი წარმოგვიდგენს არა მხოლოდ ასაკობრივი, არამედ მეცნიერული (ლინგვისტური) დღეგრძელობის მაგალითს!

აკადემიკოსი ავთანდილ არაბული
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

„სანამ ცოცხალი ვარ, კიდევ გამოვადგე ადამიანებსა და საქმეს“ – მზექალა შანიძის სანუკვარი ოცნება

გამორჩეულობა მისი ხვედრი იყო დაბადებიდანვე. 95 წლის წინ გამორჩეულ ოჯახში დაბადებულ გოგონას მშობლებმა სახელიც გამორჩეული შეურჩიეს და ამით ცხოვრებითაც და საქმითაც გამორჩეულობა დაანათლეს. გამორჩეულ ადამიანებს კი ოცნებებიც გამორჩეული აქვთ.

ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის მზექალა შანიძის მრავალი გამოკვლევა მართლაც გამორჩეულია და სრულიად ახალი მიმართულების მაჩვენებელია ჩვენს მეცნიერებაში.

მზექალა შანიძე ფართო ენათმეცნიერული და ფილოლოგიური თვალთახედვის სპეციალისტია. იგი არის ასოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის ხუთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიისა,

რომლებიც განსაკუთრებული მეცნიერებულის ღირებულებით და სიახლით გამოირჩევა. ამ ნაშრომებში განხილულია საკითხების ფართო სპექტრი – ქართული ენისა და სემიტიური ენების ფონემატური სტრუქტურა, ქართული ენის ისტორიის, მორფოლოგიისა და ლექსიკის მნიშვნელოვანი საკითხები, ქართული გრამატიკული აზრის ისტორია. მისი კვლევის სფეროში აგრეთვე შემოდის ძველი ქართული ფილოლოგია და ლინგვისტური წყაროთმცოდნეობა, უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების პუბლიკაცია და ტექსტოლოგიური კვლევა. მზექალა შანიძის ბევრი ნაშრომი რეცენზირებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის სპეციალისტთა მიერ. ცნობილი ქართველოლოგი, პროფესორი ჟ. გარიტი (ბელგია) მ. შანიძის მიერ შესრულებული ფსალმუნის ძველი ქართული ტექსტის გამოცემის შესახებ წერდა: „ეს არის სანიმუშო ნაშრომი, რომელსაც ამიერიდან გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი ქართველოლოგი.“ ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხებიდან, რომლებიც ქალბატონმა მზექალამ შეისწავლა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევები – ი ხმოვანფუძიან ანთროპონიმთა და საზოგადო სახელთა შესახებ – საკითხები, რომლებიც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სრულიად შეუსწავლელი იყო.

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიას აშუქებს მზექალა შანიძის მიერ აღმოჩენილი უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. ტექსტის პუბლიკაციითა და ვრცელი გამოკვლევით, რომლითაც მეცნიერმა დაამტკიცა, რომ ქართული გრამატიკული ლიტერატურა რეალურად არსებობდა უკვე XI საუკუნეში (და არა XVIII საუკუნეში, როგორც იქამდე ივარაუდებოდა). ამ ნაშრომისთვის მზექალა შანიძემ აკაკი შანიძის სახელობის პრემია მიიღო. აღსანიშნავია, რომ მ. შანიძის ნაშრომი ქართული გრამატიკული აზროვნების შესახებ 2000 წელს ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა „მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიის“ I ტომში (გამომცემლობა Gruyter, Berlin – New York).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მზექალა შანიძის გამოკვლევები იმ ძეგლთა შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას ადრეულ პერიოდში (ფსალმუნის და სხვა ბიბლიური ტექსტები); ამ ძეგლების კომპლექსური შესწავლა მზექალა შანიძის მიერ ჩვენს მეცნიერებაში სრულიად ახალ სიტყვას წარმოადგენს. სანიმუშო გამოკვლევაა მონოგრაფია „ფსალმუნთა წიგნის ქართული თარგმანები“, სადაც ტექსტის კვლევაში გამოყენებულია თანამედროვე ლინგვისტური მეთოდები. 2010 წელს გამოცემული წიგნით „ქართული ფსალმუნის სიმფონია – მასალები ადრეული ვერსიისათვის და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სიმფონია“;

მზექალა შანიძემ დააგვირგვინა ქართული მწერლობისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლთან დაკავშირებით მის მიერ დიდი ხნის წინ დაწყებული სამუშაო – მას სანიმუშოდ გამოცემული აქვს ფსალმუნთა წიგნი, გამოქვეყნებულია ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა და შედგენილია სიმფონია-ლექსიკონი, რომელიც სრულად ასახავს ამ ერთ-ერთ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლში დადასტურებულ ლექსიკას.

მზექალა შანიძის ინტერესების სფეროში შემოდის ქართული საისტორიო ნარატიული ენაც. გამოკვლევა, რომელიც მან დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტის გამოცემასთან ერთად გამოაქვეყნა, პრინციპულად ახალ ეტაპს წარმოადგენს ამგვარ თხზულებათა შესწავლაში. ეს გამოკვლევა, რომლის ანალოგი „ქართლის ცხოვრებისადმი“ მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს, ისტორიული ტექსტების სხვა მკვლევართათვის კვლევა-ძიების ახალი გზებისა და მეთოდების მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ქალბატონი მზექალაც თავის ყველაზე დიდ წარმატებად დავითის ისტორიკოსის ტექსტის დადგენას მიიჩნევს.

ქალბატონ მზექალას ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა ქართული ლექსიკის დარგში, სადაც იგი ფართოდ იყენებს პარალელებს ინდოევროპული და სემიტური ენებიდან.

შვიდ ათეულ წელზე მეტია ქალბატონი მზექალა მუშაობს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და იკვლევს ჩვენი წინაპრების მიერ ნაანდერძევ „ხელით წერილი განძს“ – ძველ ქართულ ხელნაწერებს, არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. იგი სამჯერ იყო სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში, როგორც ქართული სამეცნიერო ექსპედიციის წევრი, და არის ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა ვრცელი სამენოვანი კატალოგის თანაავტორი (ათენი, 2005 წ.) და ამავე კატალოგის ინგლისური ვარიანტის ავტორი. ბოლო ექსპედიციაში 85 წლის მეცნიერმა ახალ პროექტზეც დაიწყო მუშაობა, რომელიც წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში დაცული ფსალმუნთა წიგნის X საუკუნის ხელნაწერების შესწავლას გულისხმობს.

მზექალა შანიძე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მის ხელში გაიარა ფილოლოგთა არაერთმა თაობამ. სალექციო კურსებს კითხულობდა უცხოეთშიც: ბელგიაში (1991, 1996), ნორვეგიაში (1996) და პეტერბურგში (1996-1998). უკვე 25 წელზე მეტია ინგლისურ ენაზე უტარებს ლექციებს უნივერსიტეტის ქართვე-

ლოლოგიური სკოლის უცხოელ მსმენელებს და აოცებს მათ არა მხოლოდ თავისი ღრმა ცოდნითა და ერუდიციით, არამედ შესანიშნავი ინგლისურით.

მზექალა შანიძის სამეცნიერო მუშაობა გამოირჩევა უმკაცრესი აკადემიური მომთხოვნელობით საკუთარი თავისადმი. იგი დღესაც განაგრძობს აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, მონაწილეობს რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტში, გამოსაცემად ამზადებს ფსალმუნთა განმარტების ეფრემ მცირისეულ თარგმანს და მუშაობს დიდი მამის დაწყებული დიდი საქმის გასრულებაზე – ახალგაზრდა კოლეგებთან თანამშრომლობით გამოსაცემად ამზადებს ბიბლიის უძველეს ხელნაწერს, 978 წლის ათონის (ოშკის) ბიბლიას.

ქალბატონი მზექალა მრავალი ჯილდოს მფლობელია (ღირსების ორდენი, ივანე ჯავახიშვილის მედალი და სხვ.), მაგრამ უმთავრესი და განსაკუთრებული ჯილდო ის დიდი პატივისცემა და სიყვარულია, რომელიც მან ხალხისგან დაიმსახურა. იშვიათია შემთხვევა, როცა დიდ მეცნიერებს მხოლოდ სახელით იცნობენ – ქალბატონი მზექალა სწორედ ასეთი იშვიათი მეცნიერია, რომლის სახელს (მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარი ამ სახელს კიდევ უფრო მეტ უღერადობას მატებს), მაინც მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. და ეს, ცხადია, შემთხვევითი არ არის. „მრავალი ღვაწლის აღმსრულებელი“ ქალბატონი თავის მთავარ ღირსებად ცოდნისადმი ინტერესს მიიჩნევს, რამაც შეაძლებინა 95 წლის ასაკშიც ახალგაზრდა იყოს, ინტერესით მიიღოს თანამედროვეობის ყველა სიახლე, იმეგობროს ახალგაზრდებთან და სანუკვარ ოცნებად ატაროს აზრი: „სანამ ცოცხალი ვარ, კიდევ გამოვადგე ადამიანებსა და საქმეს“.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ქალბატონო მზექალა!

დარეჯან თვალთვაძე
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
 პროფესორი